N 265 10/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის გოგი მორჩილაძის მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება - კონსერვატორები "-ს წარდგინებით მივიღე მონაწილეობა და გავხდი საკრებულოს წევრი .

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში ვარ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება- კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე და ჩავატარე ფრაქციის 5 სხდომა, სულ საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი 13 საკრებულოს, როგორც რიგით, ასევე რიგგარეშე სხდომას.

შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) როგორც საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე გასვლითი. მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. ასევე აქტიურად განვიხილავდით აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკითხებს, რომელიც 2018 წელს ოთხ ეტაპად ჩატარდა.

მინდა მოგახსენოთ იმ პროექტებზე და დახმარებებზე, რომელიც აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით.

რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა 2018 წელს შუამდგომლობა გავუწიე 34 მოქალაქეს, აქედან 14 ადამიანს დახმარება გაეწია მედიკამენტებზე, 16 ბენეფიციარს დაუფინანსდა საოპერაციო თანხა ჯამში 7281 ლარის ოდენობით, ასევე დახმარება გაეწია 2 მრავალშვილიან ოჯახს, ქირავნობის პროგრამით 6 ოჯახს და ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკულ უკმარისობით დაავადებულ ერთი ბენეფიციარს.

2018 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 15 ოჯახს ერთჯერადად გაეწია დახმარება 35744 ლარის ოდენობით და კიდევ დასაკმაყოფილებელია 2019 წლის 2 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 ოჯახი.

რაც შეეხება 2019 წელს აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ესენია:

რკ/ ბეტონის გზა მოეწყო:

1. გაგურში ტარიელ ხინიკაძის ეზოსთან,
2. გაგურის ხიდზე და მისასვლელებთან,
3. ქვ./აკეთში კულტურის სახლის მიმდებარედ,
4. ქვ./აკეთში ზეგანში,
5. ქვ./აკეთში ყოფილ ჩაის ფაბრიკასთან,
6. ჭანჭათში ზაურ ვადაჭკორიას ეზოსთან,
7. ჭანჭათში ცისანა ჩხაიძის ეზოსთან,
8. ზ./აკეთში ბერიძის ეზოსთან,
9. ზ./აკეთში ლაღიძეების აღმართში,
10. ნიკიფორე თვალაბეიშვილის ეზოსთან.

    სულ ჯამში შეადგენს 303891 ლარს.

ხიდები მოეწყო გაგურში ზაურ აბულაძის უბანში და ქვ./აკეთში ზაურ კილაძის ეზოსთან,

რევაზ აბაშიძის ეზოსთან მოეწყო მილხიდის სათავისი, ლია ვადაჭკორიას ეზოსთან მოეწყო ნაპირსამაგრი.

აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა ადგილებში შიდა გზების აღდგენაზე დაიხარჯა 19947 ლარი, ხოლო ღია სანიაღვრე არხების მოწყობაზე 8000 ლარი.

მე, როგორც საკრებულოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი გავაგრძელებ აქტიურ მუშაობას საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და აკეთის ამომრჩევლებთან, რათა 2019 წელი უფრო წარმატებული გახდეს. ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

პატივისცემით,

გოგი მორჩილაძე

ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"